

საქართველოში ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული
კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასების ანგარიში

ირაკლი როსტომაშვილი

*სახელმწიფო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბიზნესის
ადმინისტრირება ბუნებათსარგებლობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება: ბუნებათსარგებლობა MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წ

შესავალი

აბრევიატურების ჩამონათვალი.....	3
აბსტრაქტი.....	4
1. შესავალი.....	5
1.1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1.1.1. გმო-ს რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა.....	13
1.1.2. გმო-ს რეგულირება საქართველოში.....	17
1.1.3. გმო-ს შესახებ საქართველოს კანონის პრაქტიკული მიმოხილვა და პერსპექტივები ...	21
2. ნაშრომის მიზანი და ამოცანები.	24
3. კვლევის მეთოდები.....	24
3.1. გენმოდულირებული ობიექტების საკითხისადმი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და პოზიციის შესაფასება.....	25
3.2. კითხვარში წარმოდგენილი კითხვები.....	27
4. შედეგები	29
5. დასკვა	36
6. რეკომენდაციები.....	38
7. მადლობა	39
8. ბიბლიოგრაფია	40
9. დანართი.....	43

აბრევიატურების ჩამონათვალი

გმო – გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი

გმ – გენმოდიფიცირებული

EU – ევროკავშირი

FAO – სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის

WHO – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

აბსტრაქტი

გენმოდულიცირებული ორგანიზმები ეწოდებათ გენური ინჟინერიით, შეცვლილი გენომის შემცველ ორგანიზმებს. მომხმარებელთა ზრდის და რესურსების შემცირების პირობებში, მსოფლიოში სულ უფრო იზრდება გენმოდულიცირებული პროდუქტებზე მოთხოვნა. თუმცა ამ დროისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია ბიოლოგიურად საზიანოა, თუ არა გმ პროდუქტები ადამიანის ჯანმრთელობისათვის. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები აწესებენ გმო-ს შესახებ რეგულაციებს, მისი გადაადგილების, გავრცელების, მოხმარების და უსაფრთხოების ნორმების დაცვისასთვის. საქართველო, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე, დიდ სირთულეებს აწყდება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისას, ნებისმიერ სპექტრში და მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოების დაცვას. ამ პირობებში მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სწორი პოლიტიკა. ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილე საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობები, რომლებიც ახდენენ გმო-ს რეგულირებას. გარდა ამისა ჩავატარე სოციალური გამოკითხვა, რათა გამერკვია საზოგადოების მზაობა, გმო-ს საკითხში საქართველოში არსებული გაურკვეველობისა და გამოწვევების პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ბოლო წლების განმავლობაში, აქტიურად დაიწყო მუშაობა აღნიშნული პროდუქტების რეგულაციის კუთხით და ბევრი ნაბიჯები გადაიდგა, ჩემი კვლევის მიხედვით საზოგადოება სრულიად არაინფორმირებულია გენმოდულიცირებული პროდუქტების შესახებ.